თანამედროვე პირობებში საქართველოს რკინიგზაზე ტვირთების გაზრდის მიზნით, საერთაშორისო გადაზიდვების დერეფანი - აზია - ევროპის მიმართულებით და პირიქით, გარკვეული რაოდენობის ტვირთების საქართველოს საზღვაო პორტებზე მოსაზიდად აუცილებელია შეიქმნას 1435 მმ (შემდეგში ევროპის რკინიგზები) და 1520 მმ. (შემდეგში საქართველოს რკინიგზა) სისტემების შერწყმის ინფრასტრუქტურა ანუ შეიქმნას სპეციალური ტერმინალები, რომელიც საქართველოს საზღვაო პორტებს შესაძლებლობას მისცემს, როგორც ევროპული რკინიგზების ასევე საქართველოს რკინიგზის სისტემების ვაგონების მიღების და გაგზავნის შესაძლებლობას. კერძოდ: საქართველოს საზღვაო პორტებში (ფოთი ან ბათუმი) შესაბამისი ინფრასტრუქტურის შექმნის შემდეგ აზია ევროპის მიმართულებით და პირიქით თურქეთის, ბულგარეთის და რუმინეთის საზღვაო სატვირთო პორტებიდან (დარინჯი, ვარნა, კონსტანცა) საბორნე გადასასვლელით შესაძლებელი გახდება ახალი სატვირთო საერთაშორისო სარკინიგზო დერეფანის შექმნა, მითუმეტეს ფოთი კონსტანცას საბორნე გადასასვლელის ამუშავების საკითხი ჯერ კიდევ 2004-2005 წლებში იდგა დის წესრიგში. ამავე საკითხზე იქნა გამახვილებული ყურადღება საქართველოსა და რუმინეთის პრემიერ მინისტრების მიმდინარე შეხვედრისას.

საქართველოში სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარების აუცილებლობა მწვავედ დადგება დღის წესრიგში, როდესაც ევროკავშირთან აღმოსავლეთ პარტნიორობის განვითარების ფარგლებში ხელი მოეწერება საქართველოს ევროკავშირში გაერთიანების ხელშეკრულებას საქართველოს სატრანსპორტო სისტემა

კერძოდ კი სარკინიგზო ტრანსპორტი ამ დროისთვის უნდა აკმაყოფილებდეს ეკონომიკური და სავაჭრო ურთიერთობების პარიტეტულ პრიორიტეტებს.

ამჯამად სარკინიგზო ტრანსპორტით ევროპაში ტვირთის გასაგზავნად და პირიქით არსებობს მხოლოდ ერთი სატვირთო დერეფანი საბორნე გადასასვლელი საქართველო - უკრაინის მიმართულებით. ბაქო - თბილისი - ყარსის სარკინიგზო ხაზის მშენებლობის დამთავრების ვადა კი განსაზღვრულია 2015 წლისათვის.

უკრაინის მიმართულებით ტვირთების ევროპაში ტრანსპორტირება და პირიქით დამატებითი (ამ შემთხვევაში უკრაინის რკინიგზები) ქვეყნის რკინიგზების საშუალებით აძვირებს ტრანსპორტირების ხარჯებს, ხოლო რაც შეეხება ბაქო თბილისი ყარსის მშენებარე რკინიგზას მისი მშენებლობის დამთავრების შემდეგ აქაც ევროპასთან შუამავალი იქნება თურქეთის რკინიგზების საკმაოდ გრძელი მონაკვეთი (დაახლოებით 2000 კმ-მდე). აქვე თუ უკრაინასთან ტვირთების ბრუნვაში სირთულეს წარმოადგენს საბორნე გადასასვლელი, ბაქო თბილისი ყარსის მარშრუტი, როგორც საქართველოს ასევე თურქეთის გარკვეულ ნაწილზე გადის მაღალმთიან რეგიონებზე, რომლის ზამთრის პერიოდში ექსპლუატაცია გამოიწვევს ხარჯების გარკვეულად გაზრდას, რომელიც აუცილებლად აისახება ტარიფებზე.

ამ პირობებში საქართველო - რუმინეთის, ბულგარეთის ან თურქეთის საზღვაო პორტებთან პირდაპირი საბორნე სარკინიგზო გადასასვლელის გახსნა ჩვენი აზრით იქნება უიაფესი და უმოკლესი მანძილი ევროპასა და საქართველოს შორის. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ გადასასვლელებით კერძოდ კი ბულგარეთის და რუმინეთის სარკინიგზო საბორნე გადასასვლელების დამკვიდრებით იქმნება შესაძლებლობა საბერძნეთის რკინიგზებთან ურთიერთობის

დამყარებისა. საბერძნეთსა და თურქეთს შორის ცნობილი მოვლენების შედეგად სარკინიგზო სატვირთო მიმოსვლა შეჩერებულია.

შავი ზღვის ქვეყნებში 1435 – 1520 მმ. სისტემების საზღვარზე ძირითადი სატრასპორტო გადაზიდვების ფუნქცია აკისრია უკრაინის სატრასპორტო ქსელის რკინიგზებს. ის ხმელეთით უკავშირდება რუსეთს, ბელორუსს, მოლდოვას, პოლონეთს, რუმინეთს, სლოვაკეთს, უნგრეთს და შესაბამისად უზრუნველყოფს 40 საერთაშორისო სატვირთო დერეფნის ფუნქციონირებას, ასევე ემსახურება შავი და აზოვის ზღვების 14 საზღვაო პორტს. ეს პრიორიტეტი საერთაშორისო გადაზიდვებში უდიდესი წილის მოპოვებისა მდგომარეობს უკრაინის სასაზღვროს სადგურებში ევროპული სისტემის ვაგონების მისაღებად არსებული ინფრასტრუქტურის გამო[35].

ტვირთების მოზიდვის საკითხში შავ ზღვაზე ზეგანსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს რუმინეთის საზღვაო პორტს კონსტანცას და თურქეთის საზღვაო პორტ დარინჯს. მათთან საბორნე გადასასვლელების ამუშავებას.

დარინჯეს უნიკალურობა მდგომარეობს მის ადგილმდებარეობაში, იგი პრაქტიკულად თურქეთის ეკონომიკური ცენტრის სტამბულის სატვირთო პორტს წარმოადგენს. დარინჯეს პორტის ნავმისადგომთა საერთო სიგრძე შეადგენს 1.5 კმ-ს ხოლო სიღრმე 15 მეტრია. მას არ აქვს სპეციალური საკონტეინერო ტერმინალი მაგრამ შეუძლია გადაუმუშაოს 40 ათასი კონტეინერი წელიწადში. აქვს სპეციალური საბორნე გადასასვლელი, რომლის საშუალებითაც ტვირთები გადაიზიდება კონსტანცაში და ილიჩოვსკში. დარინჯეს პორტს აქვს შესაძლებლობა მიიღოს 1520 მმ. ლიანდის სიგანის ვაგონები.

ამასთან ერთად დარინჯეს, ვარნას და კონსტანცას პორტებიდან ბათუმის ან ფოთის საზღვაო პორტებში სარკინიგზო საბორნე გადასასვლელი გახსნა იქნება ალტერნატივა და დამხმარე დერეფანი,

ბაქო თბილისი ყარსის სარკინიგზო დერეფნისა. ამ უკანასკნელის საპროექტო გამტარუნარიანობაზე გასვლის და შემდგომში ჭარბი ტვირთის გატარებისათვის.

კონსტანცას პორტზე მოდის რუმინეთის საზღვაო და სამდინარო გადაზიდვების 80% და შიდა სავაჭრო გადაზიდვების 65 %, რაც მთავარია რუმუნეთი, მდინარე დუნაის საშუალებით ჩრდილოეთის მიმართულების კორიდორის გავლით აზიაში გასაგზავნად და პირიქით, (მოლდოვეთის, უკრაინი, რუსეთი)თავს უყრის დუნაის აუზის ქვეყნებიდან ყველაზე მეტ ტვირთს. რაც შეეხება ბულგარეთს 2002 წელს ბულგარეთში გადაზიდული იქნა 111.8 მლნ ტ ტვირთი. მათ შორის: საზღვაო ტრანსპორტით - 14%, სარკინიგზო ტრანსპორტით - 16.5%,სავტომობილო ტრანსპორტით - 51.7%, სხვა ტრანსპორტით - 16 %.

ეს ქვეყნები და არა მარტო ეს ქვეყნები, ყველა ევროპული და აზიის სახელმწიფოები, რომლებიც ახორციელებენ აზია - ავროპის მიმართულებით და პირიქით, საერთაშორისო სატვირთო გადაზიდვებს ტვირთის უდიდეს ნაწილს ატარებენ ჩრდილოეთის სატვირთო დერეფანით ანუ რუსეთის სარკინიგზო ქსელებით, რომლის სიგრძე საქართველოს სარკინიგზო ქსელების მარშრუტით არსებულ დერეფანზე გაცილებით დიდია.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს დღევანდელი ტვირთბრუნვის დიდი წილი მოდის თხევად ტვირთებზე, რომლებიც მოძრაობენ ჩაკეტილ მარშრუტებზე და რომელთა მოცულობაც ლიმიტირებულია. კონსტანცას მიმართულება სარკინიგზო საბორნე გადასავლელის რეალიზება საინტერესოა იმიტაც, რომ რუმინეთი ნავთობპროდუქტების მწარმოებელი ქვეყანაა და ამიტომ გადასაზიდად, პრიორიტეტი მიენიჭება მყარ - სამრეწველო ან სასოფლო სამეურნეო ტვირთებს, რაც საქართველოსათვის მეტად მნიშვნელოვანია. ბალკანეთის ორივე ქვეყანა წარმოადგენს ბუნებრივი

რესურსებით მდიდარ ქვეყნებს სადაც საკმაოდ განვითარებულია სოფლის მეურნეობა და მეტალურგია.

ჩრდილოეთის მიმართულებასთან შედარებით საქართველოს მარშრუტს პრიორიტეტები ექნება ზამთრის პერიოდშიც, მალფუჭებადი ტვირთების გადაზიდვის დროით და ნაკლები დანახარჯებით ტრანსპორტირების მიზნით.


რაც ყველაზე მთავარია საქართველოს ევროპასთან და ევროპულ სისტემებთან ექნება ვაგონების გაცვლის 5 ერთეული შეპირაპირების წერტილი (2- თურქეთთან: ყარსი, დარინჯე; 1 - ბულგარეთთან - ვარნა; 1 - რუმინეთთან - კონსტანცა; 1 - უკრაინასთან - ილიჩევსკი), რაც საშუალებას მოგვცემს აზია - ევროპის მიმართულებით და პირიქით ტვირთების გატარების შესაძლებლობას რუმინეთის, ბულგარეთის, თურქეთის და უკრაინის რკინიგზებთან რაიმე სახის დამატებითი ტექნიკური ან კომერციული პირობების დაყენების გარეშე.

ქვემოთ წარმოდგენილია შავ ზღვაზე უკრაინული სატრასპორტო კომპანია«Укрферри» - ის მიერ სხვა და სხვა დანიშნულების ტვირთის და ავტომობილების გადასაზიდად საბორნე გადასასვლელების მოძრაობის მარშრუტები:

- პორტი ილიჩევსკი(უკრაინა) - პორტი ვარნა (ბულგარეთი)
- პორტი ილიჩევსკი(უკრაინა) - პორტი ფოთი (საქართველო)
- პორტი ილიჩევსკი(უკრაინა) - პორტი დარინჯე (თურქეთი)
- პორტი ვარნა(ბულგარეთი) - პორტი ბათუმი (საქართველო)
- პორტი დარინჯე(თურქეთი) - პორტი ფოთი (საქართველო)
- პორტი ქერჩი(უკრაინა) - პორტი ფოთი (საქართველო)
- პორტი კონსტანცა(რუმინეთი) - პორტი ფოთი (საქართველო)
- პორტი დარინჯე(თურქეთი) - ნოვოროსიისკი (რუსეთი)

აღნიშნული მარშრუტებიდან ნათლად ჩანს, რომ რუმინეთს უკრაინასთან არ აქვს საბორნე გადასასვლელების მომსახურება მათ შორის რკინიგზის ვაგონების გადასაზიდად, რადგან ამ ქვეყნებს აქვთ სახმელეთო საზღვარი, გადასატვირთი სასაზღვრო სადგურებით,

შესაბამისად აზია ევროპის მიმართულებით და პირიქით ტვირთების გადაზიდვას აწარმოებენ სახმელეთო ტრანსპორტით.



სურ. 6. კომპანია «Укрдешпу» - ის მარშრუტების სქემა შავ ზღვაზე

საქართველოს ერთიანი სატრანსპორტო სისტემის დაჩქარებული ტემპებით განვითარების აუცილებლობა განპირობებულია მისი სტრატეგიული მნიშვნელობით, ტერიტორიული მთლიანობის, გეოპოლიტიკური მდებარეობის, სოციალურ-ეკონომიკური, ეთნოგრაფიული, თავდაცვითი და სხვა უმნიშვნელოვანესი მოტივებით. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, საქართველოს სატრანსპორტო სისტემის ინტეგრაცია მსოფლიოს სატრანსპორტო სისტემაში, ევროპა აზიასთან დამაკავშირებელი უმოკლესი და ხელსაყრელი სატრანსპორტო მაგისტრალის «Traseca»-ს სახით. ამჟამად მშენებარე ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზის მაგისტრალი არის «Traseca»-ს სამხრეთის მიმართულებით განვითარება და მას შესანიშნავი პერსპექტივები აქვს, რადგან იგი უზრუნველყოფს აღმოსავლეთიდან (ჩინეთი, შუა აზია) ტვირთების პირდაპირ

მიწოდებას გადატვირთვის გარეშე, ცენტრალურ ევროპაში, ბოსფორის სრუტის ქვეშ მშენებარე გვირაბის გავლით. არანაკლებ პრიორიტეტულია სატრანსპორტო სისტემის განვითარება ქვეყნის შიგა სატრანსპორტო მოთხოვნილებების მაქსიმალურად დაკმაყოფილების მიზნით, ვინაიდან ტრანსპორტის გამართულ მუშაობაზეა დამოკიდებული ქვეყნის ეკონომიკის ნებისმიერი დარგის განვითარება, მოსახლეობის და საქმების პრობლემის ხელშეწყობა და მათი საყოფაცხოვრებო დონის ამაღლება.

1.2.6. სატრანსპორტო დერეფნების ეკოლოგიური ასპექტები

ტრასპორტის გაძლიერებული ფუნქციონირება იწვევს გაძლიერებულ ტექნოგენურ ზემოქმედებას გარემოზე და შესაბამისად საფრთხეს უქმნის ადამიანების ჯამრთელობას და ბუნებას.

ამ მხრივ ახალი სსდ შექმნისას ძირითად პრობლემას წარმოადგენს მათი ეკოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფა, ძირითადად მსხვილ სატრასპორტო კვანძებში თუ სასაზღვრო სადგურების ტერიტორიებზე.

ახალი სს დერეფნები გავლენს ახდენს გარემოს ფონურ მდგომარეობაზე, ზედაპერულ და გრუნტის წყლებზე, საშიშ გეოლოგიურ პროცესების განვითარებაზე, ატმოსფერული მოვლენებზე, ჰაერზე, ხმაურზე, სოციალურ გარემოზე, კულტურულ ძეგლებზე, არქეოლოგიურ უბნებზე. არსებული რკინიგზების რეკონსტრუქციის დროს კი ამას ემატება დემონტირებული მასალების დასაწყობება, შენახვის ან ლიკვიდაციის გავლენა გაერემოზე.

სატრასპორტო დერეფნების ეკოლოგიური უსაფრთხოების შესაბამისი ღონისძიებები უნდა ხორციელდებოდეს, როგორც მათი ჩასახვის ასევე მათი მშენებლობისა და ექსპლუატაციის პერიოდშიც.

რკინიგზების მშენებლობის ეტაპზე განხილული უნდა იყოს გარემოზე პოტენციური ზემოქმედების რისკები და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები, რომლებიც დაკავშირებულია, სამშენებლო ბანაკების მოწყობის, სამშენებლო ბანაკებში წარმოქმნილი სამეურნეო და სანიაღვრე ჩამდინარე წყლების, მცენარეთა საფარის და ფაუნის სახეობის, მშენებლობის დერეფანში ახლომდებარე სოფლებზე მიმდინარე სამუშაოებით გამოწვეული ზემოქმედების შედეგად. რკინიგზის მიწის ვაკისის მოსამზადებელი სამუშაოების დაწყებამდე მოხსნილი ნაყოფიერი ნიადაგის ფენის დასაწყობების, დასაქმებული პერსონალის უსაფრთხოებაზე ნეგატიურ ზემოქმედების რისკები, სხვადასხვა საქმიანობისათვის დროებით გამოყენებული ტერიტორიების პირველად მდგომარეობამდე აღდგენის და სამშენებლო ნარჩენებით გამოწვეული ზემოქმედების შემცირების ღონისძიებები. განხილული უნდა იყოს გარემოსდაცვითი მენეჯმენტის გეგმაში მოცემული ტერიტორიების კომპლექსური აღდგენის, ლანდშაფტის მართვის, მოსახლეობის უსაფრთხოებისა და მათთან ურთიერთობის, დაბინძურების თავიდან აცილების გეგმა და მშენებლობის ფაზაზე განსახორციელებელი გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმა; ნარჩენების მართვის ოპტიმალური სტრატეგია, პროგრამა და გეგმა; ავარიული სიტუაციებზე რეაგირების კონკრეტული გეგმა.

სარკინიგზო მონაკვეთზე ექსპლუატაციაში შესვლის შემდეგ მონიტორინგის პროგრამაში გათვალისწინებული უნდა იყოს ხმაურის პარამეტრების მონიტორინგი და მიღებული შედეგების შესაბამისად მოსახლეობის ხმაურისაგან დაცვის დამატებითი ღონისძიებების დამუშავება.

ნარჩენების მართვის ოპტიმალური სტრატეგია, პროგრამა და გეგმა უნდა ითავლისწინებდეს რკინიგზის სამშენებლო სამუშაოებისა და შემდგომი ექსპლუატაციის პერიოდში წარმოქმნილი ნარჩენების მართვის, ან/და განთავსების შესახებ წესებს.

სს დერეფნების მშენებლობისას გარემოს ეკოლოგიური წონასწორობისა და ქვეყნის ურბანული უსაფრთხოების შენარჩუნების, აგრეთვე ბუნებრივ ტერიტორიალურ კომპლექსებზე ანთროპოგენული ზემოქმედების შედეგად ადამიანისა და ცხოველებისათვის საშიში ზოოანთროპონოზული საერთო ფუნქციური დავადებების თავიდან აცილების მიზნით, საქართველოს აგრარული რადიოლოგიისა და ეკოლოგიის ინსტიტუტის მონაწილეობით რკინიგზის ტრასაზე მშენებლობის დაწყებამდე უნდა ჩატარდეს ლანდშაფტური ეპიზოტოლოგიურ-ეკოლოგიური მონიტორინგი და საჭიროების შემთხვევაში გატარებული უნდა იქნას შესაბამისი პრევენციული ღონისძიებები.

თავი 2. შედეგები და მათი განსჯა

2.1. რკინიგზის საიმედოობის უზრუნველყოფის საკითხები პროექტირებისა და მშენებლობის სტადიაზე

ობიექტის საიმედოობის დადგენა მასზე ზემოქმედების განსხვავებული მნიშვნელობის ფაქტორების გაერთიანების საშუალებას იძლევა. ამ ფაქტორების გამაერთიანებელ პირობას წარმოადგენს საექსპლუატაციო ხარჯების გავლენა ობიექტის საიმედოობის ხარისხზე. ეკონომიკური მიზანშეწონილობის თავლსაზრისით საიმედოობის ყველა შემდგენელი, მათ შორის მიზანშედეგობრივი კავშირის გამო, შეიძლება გაერთიანდეს ორ ჯგუფში: ხანმედეგობა და უმტყუნებლობა.

სამთო რკინიგზების კომპლექსური დაპროექტებისა და მშენებლობისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა იქნას გამახვილებული შემდეგ ძირით კრიტერიუმებზე:

საიმედოობა – ობიექტის (ელემენტის) მაღალი ტექნიკური ხარისხის ერთ ერთი უმნიშვნელოვანესი მაჩვენებელი. იგი ახასიათებს ობიექტის თვისებას ექსპლუატაციის ხანგძლივ პერიოდში შეინარჩუნოს დადგენილი პარამეტრები, სხვადასხვა რეჟიმში მუშაობის პირობებში, უზრუნველყოს ობიექტის ტექნიკური მომსახურების საშუალება. საიმედოობა ობიექტის კომპლექსურ მახასიათებელ თვისებას წარმოადგენს და მოიცავს უმტყუნელობის (შეუფერხებლობის), ხანგამძლეობის დაცულობის და შეკეთებას დაქვემდებარებულობის უზრუნველყოფის საკითხებს.

უმტყუნელობა – ობიექტის (ელემენტის) თვისებაა მუდმივად იმყოფებოდეს მუშა მდგომარეობაში დროის გარკვეულ მონაკვეთში, ან უზრუნველყოფდეს დატვირთვების ციკლის განმეორებადობის განსაზღვრულ რაოდენობას(ობიექტის ან ელემენტის სამსახურის ვადა, გატარებული ტონაჟი ან დატვირთვების ციკლის რაოდენობა)

ხანგამძლეობა – ობიექტის (ელემენტის) თვისებაა შეინარჩუნოს მუშაობის უნარი, მისი შესაძლებლობის ზღვრული მნიშვნელობის მიღწევამდე, ტექნიკური მომსახურებისა და შეკეთებების დადგენილი სისტემის პირობებში.

დაცულობა – ობიექტის (ელემენტის) თვისებაა შეინარჩუნოს თავისი ხარისხი დადგენილ ზღვრებში.

შეკეთებას დაქვემდებარებულობა – ობიექტის (ელემენტის) თვისებაა შეინარჩუნოს მუშაობის შესაძლებლობები და დაექვემდებაროს აღდგენას, ტექნიკური მომსახურებისა და შეკეთებების ჩატრების გზით.

სამთო რკინიგზების საიმედოობის შეფასებისას უნდა გავითვალისწინოთ მისი მდგომარეობის შემდეგი ხარისხი:

გამართული მდგომარეობა, რომლის დროსაც ობიექტი აკმაყოფილებს ხარისხის მახასიათებლებს და სრულად პასუხობს ნორმატიულ-ტექნიკურ დოკუმენტაციების ყველა მოთხოვნებს. დამპროექტებლებისა და მშენებლების უპირველესი ამოცანაა ობიექტის ასეთი მდგომარეობის უზრუნველყოფა.

არაგამართული მდგომარეობა, როდესაც ობიექტი ვერ აკმაყოფილებს ნორმატიულ-ტექნიკურ დოკუმენტაციების თუნდაც ერთ მოთხოვნას, რაც უცილებლად გამორიცხულ უნდა იქნას პროექტის შედგენისა და მშენებლობის პროცესში.

მუშა მდგომარეობა, როდესაც ობიექტი მზად არის მასზე დაკისრებული ფუნქციების, კერძოდ მატარებლების მოძრაობის უსაფრთხოების და უწყვეტობის უზრუნველყოფა დადგენილი სიჩქარეებით. ამ პირობების უზრუნველყოფა თითქმის მთლიანად არის დამოკიდებული მშენებელზე.

არამუშა მდგომარეობა, როდესაც ობიექტი ვერ ასრულებს მასზე დაკისრებულ ფუნქციებს. არამუშა მდგომარეობაში მყოფი ობიექტი ერთდროულად გაუმართავ მდგომარეობაშიც იმყოფება. ასეთ

მდგომარეობას საიმედოების თეორიის მიხედვით მუშაობაზე უარის თქმა ეწოდება.

უმტყუნებლობის მახასიათებლებია:

უმტყუნო მუშაობის ალბათობა, რომელიც წარმოადგენს იმის ალბათობას, რომ ობიექტის მტყუნებათაშორისი ნამუშევარი არ იქნება დაგეგმილზე ნაკლები;

მტყუნებათა ინტენსივობა – მტყუნებათა ალბათობის განაწილების სიხშირე;

მტყუნებათა შორისი გასაშუალებული ნამუშევარი – ობიექტის პირველ მტყუნებამდე ნამუშევარის მათემატიკური ლოდინი;

მტყუნებათაშორისი ნამუშევარი – აღსადგენი ობიექტის მტყუნებათა შორისი ნამუშევრის ფარდობა მტყუნებათა რიცხვის მათემატიკურ ლოდინთან;

ხანმედეგობის და დაცულობის მაჩვენებლებია:

საშუალო რესურსი (სამსახურის ვადა) – არის რესურსის (სამსახურის ვადის) მათემატიკური ლოდინი, ხოლო რესურსი – ობიექტის ნამუშევარი აღებული დროის გარკვეული მომენტიდან, მის მიერ ზღვრული მდგომარეობის მიღწევამდე;

შეკეთებათა შორის საშუალო რესურსი – ობიექტის შეკეთებათა შორის ნამუშევარი;

დაცულობის საშუალო ვადა – დაცულობის ვადის მათემატიკური ლოდინი;

შეკეთებას დაქვემდებარებულობის მაჩვენებლებია:

მოცდენის და აღდგენის საშუალო დრო – ობიექტის არამუშა ან აღდგენის მდგომარეობაში იძულებითი ყოფნის დროის მათემატიკური ლოდინი;

აღდგენის ინტენსიობა – იგივე, რაც მტყუნების ინტენსივობა;

საიმედოების კომპლექსურ მაჩვენებლებს ახასიათებს ობიექტის რამოდენიმე თვისება ერთდროულად:

მზადყოფნის კოეფიციენტი – უჩვენებს იმის ალბათობას, რომ ობიექტი იქნება მუდმივად მზა მდგომარეობაში, ექსპლუატაციის ნებისმიერ დროს, გარდა სპეციალურად დაგეგმილი ინტერვალებისა;

ტექნიკური გამოყენების კოეფიციენტი, იგი გამოითვლება ფორმულით:

$$K_{\text{ტ.პ.}} = \frac{T_{\Sigma}}{T_{\Sigma} + T_{\text{ტ.ა.}} + T_{\text{აღდგ.}}} \quad (1)$$

სადაც T_{Σ} – ობიექტის საშუალო ნამუშევარია ექსპლუატაციის გარკვეულ ვადაში; $T_{\text{ტ.ა.}}$ – ობიექტის ტექნიკური მომსახურების დრო;

$T_{\text{აღდგ.}}$ – ობიექტის აღდგენის დრო.

ობიექტის საიმედოობის ხარისხზე გავლენას ახდენს ფაქტორები, რომლებიც შეიძლება ორ ძირითად ჯგუფად დაიყოს:

სუბიექტური ფაქტორები, რომლებიც ძირითადად დამოკიდებულია ობიექტის მომსახურე ადამიანების ქმედებაზე, კერძოდ ჩვენს შემთხვევაში, ბაქო – თბილის – ყარსის რკინიგზის დამპროექტებლებისა და მშენებლების კვალიფიკაციაზე და მათ მიერ მიღებულ საპროექტო, ოპერატიულ და აღსრულებით გადაწყვეტილებათა მართებულობაზე. სუბიექტური ფაქტორების გამორიცხვის გზებია პროექტის ობიექტური და კვალიფიციური ექსპერტიზის ჩატარება და მშენებლობის განხორციელების მაღალ-კვალიფიციური ტექნიკური ზედამხედველობა, შესაბამისი ნორმატიულ-ტექნიკური და ეკონომიკური დოკუმენტაციების მოთხოვნათა განუხრელად დაცვის კონტროლის მიზნით.

ობიექტურ ფაქტორებს მიეკუთვნებიან:

- ობიექტის ექსპლუატაციის დრო და პირობები;
- კლიმატური, მექანიკური და ბიოლოგიური პირობები.

პროექტის შედგენისას და მშენებლობის განხორციელებისას ამ ფაქტორების ზუსტად გათვალისწინება უზრუნველყოფს ობიექტის საიმედოობის მაღალი ალბათობის ხარისხის მიღწევას.

პროექტირების პროცესებში ხაზობრივი ნაგებობები, კერძოდ რკინიგზა წარმოდგენილი უნდა იქნას რთული ტექნიკური სისტემის სახით, რომელიც პირველ რიგში შემდეგი ქვესისტემებისაგან შედგება:

- **ტრასა** - რკინიგზის გრძივი ღერძია, რომელიც განსაზღვრავს სისტემის მდგომარეობას და მისი ქვესისტემის ურთიერთ განლაგებას;
- **მზიდი კონსტრუქციები** - ლიანდაგის ქვედა ნაშენი(მიწის ვაკისი, წყალგამტარი ნაგებობები, გვირაბები, ვიადუკები, საყრდენი კედლები და სხვა) და ლიანდაგის ზედა ნაშენი(რელსები, სარელსო სამაგრები, შპალები, ბალასტი)
- **სალიანდაგო განვითარება** - მთავარი და სასადგურე ლიანდაგების ზედა ნაშენის სპეციალური მოწყობილობები - ლიანდაგის შეერთებებისა და გადაკვეთების მოწყობილობები;
- **გამყოფი პუნქტები** - ასაქცევები, გადასასწრები პუნქტები, შუალედური საუბნო, მახარისხებელი, სატვირთო და სამგზავრო სადგურები, რკინიგზის კვანძები;
- **მოძრავი შემადგენლობა** - ლოკომოტივები, ვაგონები, მოტორვაგონიანი შემადგენლობები;
- **ელექტროფიცირებული რკინიგზები ელექტრომომარაგება** - წვეის ქვესადგურები, საკონტაქტო ქსელები;
- **გადაზიდვების პროცესების მართვის სისტემების მოწყობილობები** - სცბ და კავშიგაბმულობის სისტემები;
- **ტექნიკური მომსახურების საშუალებები** - სალიანდაგო, სალოკომოტივო, სავაგონო, სამგზავრო, სატვირთო და სხვა მეურნეობები;
- **კომუნიკაციები** - კავშიგაბმულობისა და ელექტროგადამცემი ხაზები, წყალმომარაგების, თბომომარაგებისა და კანალიზაციის სისტემები.

პირველი რიგის ქვესისტემები თვის მხრივ იყოფა უფრო დაბალი რიგის მეორე, მესამე და ა.შ. ქვესისტემებად.

რკინიგზა, როგორც გარემოს და ტექნიკური სისტემების მუდმივ კონტაქტშია ბუნებასთან. ეს კონტაქტები შეიძლება განვიხილოთ, როგორც შემავალი და გამომავალი კონტაქტები.

შემავალი კონტაქტებია, რომელთა მეშვეობით ბუნება ან სხვა სისტემები ზემოქმედებენ რკინიგზის მდგომარეობაზე და მისი მუშაობის პირობებზე.

შემავალი კონტაქტების საშუალებით რკინიგზა იღებს ტვირთებს, მასალებს, საწვავს, ელექტროენერგიას. შემავალი კონტაქტების საშუალებით რკინიგზა დაცული უნდა იქნას გარემოს მავნე ზემოქმედებისაგან (ნალექები, სამთო ჩამოქცევები, ღვარცოფები, სეისმური ზემოქმედება და სხვა)

გამომავალი კონტაქტების მეშვეობით რკინიგზა ზემოქმედებს ახდენს გარემოზე.

რკინიგზის ქვესისტემები დაკავშირებულია ურთიერთ ან და გარემოსთან. განტოლებების და ალგორითმების ერთობლიობას, რომლებიც განსაზღვრავენ ქვესისტემების პარამეტრებს შორის კავშირებს, რკინიგზის, როგორც სისტემის ფუნქციონალური აღწერა ეწოდება.

ხაზობრივი ნაგებობების, კერძოდ რკინიგზის რთული ტექნიკური სისტემა განაპირობებს მისი პროექტის რთულ შემადგენლობას. ხაზობრივი ნაგებობების პროექტები, როგორც წესი ორ: ეკონომიკურ და ტექნიკურ განყოფილებად იყოფა.

პროექტის ეკონომიკური განყოფილების დანიშნულებაა:

- საპროექტო ხაზის როლისა და დანიშნულების დადგენა ქვეყნის ერთიან სატრანსპორტო ქსელში;
- საპროექტო ხაზის მიმართულების ვარიანტების გამოვლენა ეკონომიკური მიზანშეწონილობის თვალსაზრისით;
- ტვირთი და მგზავრნაკადების მოცულობების დადგენა და ექსპლუატაციის საანგარიშო წლისათვის;

პროექტის ტექნიკური განყოფილება შედგება:

- რკინიგზის კატეგორიის დადგენა და მისი ტექნიკური პარამეტრების შერჩევა;
- საპროექტო ხაზის მიმართულების დასაბუთება;
- რკინიგზის გეგმისა და პროფილის პროექტი;
- მიწის ვაკისის პროექტი სადგურებზე და გადასარბენებზე;
- ხელოვნური ნაგებობების (ხიდების, მილები, გვირაბების, ესტაკადების, გალერეების, საყრდენი კედლების და სხვა საინჟინრო ნაგებობების) პროექტები;
- ლიანდაგის ზედა ნაშენის პროექტი;
- გამყოფი პუნქტების განლაგები, სადგურებისა და სასადგურე მოწყობილობათა პროექტები;
- სალოკომოტივო და სავაგონო მეურნეობის პროექტები;
- წყალმომარაგების და კანალიზაციის პროექტები;
- რკინიგზის ენერგო და ელექტრომომარაგების პროექტები;
- სცბ და კავშირგაბმულობის პროექტები;
- შენობა - ნაგებობების პროექტები;
- რკინიგზის ადმინისტრაციული დაყოფის პროექტები.

გარდა ზემოთ ჩამოთვლილისა პროექტის ტექნიკური განყოფილება მოიცავს მშენებლობის ორგანიზაციის პროექტს და ხარჯთაღრიცხვას.

ისეთი რთული ობიექტების პროექტების შედგენისას, როგორცაა რკინიგზა, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია და პროექტების სტადიურობის ზუსტად განსაზღვრა.

რკინიგზის პროექტი, როგორც წესი მუშავდება ზოგადიდან კერძოსკენ განვითარების პრინციპით, რამოდენიმე ეტაპად. დაპროექტების ეტაპური მეთოდი უზრუნველყოფს რკინიგზის ყველა ურთიერთ დაკავშირებული ქვესისტემების ყველა ელემენტებისათვის საუკეთესო საპროექტო გადაწყვეტილების მიღწევას.

წინა საპროექტო ეტაპზე, ისეთი რთული ობიექტების დაპროექტებისას, როგორცაა რკინიგზა უნდა დამუშავდეს პროექტის ტექნიკურ - ეკონომიური დასაბუთება (ტედ), ხოლო სხვა ობიექტებისათვის ტექნიკურ-ეკონომიური გაანგარიშება(ტეგ).

ტედ-ის ამოცანებში შედის რკინიგზის მშენებლობის ან რეკონსტრუქციის განხორციელების, ქვეყნის ეკონომიკური განვითარების აუცილებლობისა და მისი ეკონომიკური მიზანშეწონილობის დასაბუთება. ტედ-ის მიხედვით განისაზღვრება მშენებლობის ღირებულება, რომლის გადაჭარბება შემდგომში დაუშვებელია. ტედ-ის მიხედვით დამკვეთი დამპროექტებელთან ერთად შეიმუშავებს საპროექტო დავალებას, რომლის მიხედვით, სხვა საკითხებთან ერთად განისაზღვრება პროექტირების სტადიები.

სახაზო ნაგებობების დაპროექტება შეიძლება განხორციელდეს ერთ ან ორ სტადიად. ორსტადიული დაპროექტებისას, პირველი სტადია არის ტექნიკური პროექტი მეორე სტადია მუშა დოკუმენტაცია. ერთ სტადიული დაპროექტებისას პირდაპირ მუშავდება მუშა დოკუმენტაცია. რკინიგზის მშენებლობისას, როგორც წესი ორ სტადიულ დაპროექტებას ირჩევენ.

პროექტების სტადიურობა, შემადგენლობა, მისი შესრულების წესი და მართვა უნდა რეგულირდებოდეს სამართლებრივი და ნორმატიულ-ტექნიკური ბაზის მეშვეობით, რომელიც უზრუნველყოფს პროექტის მაღალ ტექნიკურ დონეზე შესრულებას.

სამწუხაროდ საქართველოში რკინიგზების და ზოგადად ხაზობრივი ნაგებობების ეროვნული ნორმატიულ-ტექნიკური ბაზა (სამშენებლო წესები და ნორმები, ტექნიკური პირობები და სხვა) არ არსებობს და მისი შექმნა დაუსაბუთებლად ჭიანურდება. ყოველივე ამის გამო ძვირადღირებული პროექტების უმრავლესობა ხარვეზებით მუშავდება და ამ ხარვეზების გამოსწორება უშუალოდ ხდება მშენებლობის დროს, რაც მნიშვნელოვან დამატებით ხარჯებთან არის

დამოკიდებული ან რჩება გამოუსწორებელი, ობიექტების ექსპლუატაციის მუდმივ ხარვეზად რჩება, აძვირებს მის ყოველწლიურ საექსპლუატაციო ხარჯებს და აუარესებს მოძრაობის უსაფრთხოების ხარისხს.

2.2. მთიან პირობებში რკინიგზების კომპლექსური დაპროექტებისა და მშენებლობისადმი წაყენებული სპეციფიკური მოთხოვნები

მთიან პირობებში რკინიგზების გეგმისა და პროფილის დაპროექტებისას ოპტიმალური გადაწყვეტილებების მიღება ურთულესი პრობლემების გადაწყვეტასთან არის დაკავშირებული, რომლებიც განპირობებულია ისეთი დამატებითი ფაქტორების არსებობით, რომლებიც ჩვეულებრივ შემთხვევაში არ გვხვდებიან. ამიტომ, სამთო პირობებში იმ კვაზისტიკური მიდგომების მექანიკურად გამოყენება, რომლებსაც ითვალისწინებს რკინიგზების გეგმისა და პროფილის დაპროექტების ნორმები და ტექნიკური პირობები სასურველ შედეგს ვერ იძლევა. მთიან პირობებში ასეთ დამატებით ფაქტორებს წარმოადგენენ: ურთულესი ტოპოგრაფიული, გეოლოგიური, ჰიდროგეოლოგიური, ჰიდროლოგიური და კლიმატური პირობები. როგორც წესი სამთო რკინიგზები განლაგდება მდინარეების ხეობებში, გართულებულ გეოლოგიურ და ჰიდროგეოლოგიურ პირობებში. ვიწრო შეზღუდულ პირობებში, შეზღუდულია ტრასის მანევრირების შესაძლებლობა. ამიტომ აუცილებელი ხდება, რკინიგზები გეგმისა და პროფილის დაპროექტების ნორმების და ტექნიკური პირობების ზღვრული დასაშვები სიდიდეების გამოყენება.

რთული ტოპოგრაფიული პირობების შედეგად აუცილებელი ხდება დიდი სიდიდის ქანობების გამოყენება, ტრასის სიგრძის დამოკლების მიზნით და მისი ოპტიმალურობის დასაბუთებით. ასევე აუცილებელი ხდება წრიული მრუდების რადიუსებისა და

გადასასვლელი მრუდების სიგრძეების შემცირება, მრუდებს შორის სწორი ჩანართების სიგრძეთა ნორმებით განსაზღვრული მინიმალურად დასაშვები მნიშვნელობების დანიშვნა. ყოველივე ეს შემდგომში ართულებს რკინიგზების მუშაობას და ექსპლუატაციის პირობებს, ამცირებს მატარებლის მასის ნორმას და ამალღებს ლიანდაგის ზედა ნაშენის ელემენტების ცვეთის ინტენსიობის ხარისხს.

გართულებული ტოპოგრაფიული, გეოლოგიური, ჰიდროგეოლოგიური და კლიმატური პირობები მთლიანად განსაზღვრავს მიწის ვაკისის მთლიან და მისი განივი პროფილების დაპროექტებისა და მშენებლობისადმი განსაკუთრებულ, სპეციფიკურ მიდგომას. ოპტიმალური გადაწყვეტილების მისაღებად აუცილებელია ყველა ნიუანსების, თუნდაც წვრილმანი ნიუანსების ზუსტად გათვალისწინება, რომელთაც მიეკუთვნებიან:

- მიწის ვაკისის საინჟინრო და ხელოვნური ნაგებობების საფუძვლის გრუნტების, გეოლოგიური და ჰიდროგეოლოგიური სიტუაცია;
- ჭრილში დამუშავებული და ყრილის ასაგები გრუნტების გეოლოგიური მახასიათებლები;
- ადგილმდებარეობის განივი ქანობი და ფერდობების მდგრადობის ხარისხი;
- მუდმივი და ზედაპირული წყანაკადების ჰიდროგრაფიული რეჟიმი და ხარჯი;
- მიწისქვეშა წყლების არსებობა, მათი ხასიათი და რეჟიმი;
- მეწყერებისა და ღვარცოფების არსებობა და მათი მუშაობის დინამიკა;
- ქვათა ცვენისა და ნაშალი მასალების ჩამოტანის შესაძლო ადგილების გამოვლენა;
- წარეცხვისა და გამორეცხვის პოტენციალური უბნების გამოვლენა;
- გაბატონებული ქარების სიმძლავრე და მიმართულება;
- თოვლცვენის ინტენსივობა, თოვლის გადაადგილების მიმართულება და მოცულობა;

- თოვლისაგან ინტენსიურად დანამქვრადი უბნების გამოვლენა;
- და სხვა ნიუანსები

რკინიგზის ტრასის ფერდობებზე განლაგებისას, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და ყურადსაღებია, რომ მიწის ვაკისის განივი პროფილები უპირატესად დაპროექტდეს ნახევარყრილების სახით, რითაც მინიმუმადე მცირდება ისტორიულად ჩამოყალიბებული ფერდობების დაზიანება, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ქვათა ცვენა ან ნაშალი მასალების ჩამოტანა. ზოგიერთ შემთხვევაში შეიძლება საჭირო გახდეს დამჭერი კედლების აგება იდივიდუალური პროექტით, რითაც მნიშვნელოვნად მცირდება ნახევარყრილის ასაგებად საჭირო გრუნტის მოცულობა. მიწის ვაკისის დაპროექტებისადმის ამგვარი მიდგომა მინიმუმადე ამცირებს ბუნებაზე რკინიგზების მშენებლობის ეკოლოგიურ ზეგავლენას.


მიწის ვაკისის მოწყობისას ნახევარ ჭრილებში აუცილებელი ხდება ისტორიულად ჩამოყალიბებული ფერდობის ჩამოჭრა, ხოლო შემდგომში მისი მდგრადობის შესანარჩუნებლად, ხშირ შემთხვევაში წარმოიშობა ფერდობების გამაგრების, ქვაცვენისა და ნაშალი მასალის დამჭერი კედლების მოწყობის საჭიროება, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს საპროექტო ღირებულებას, ზრდის ექსპლუატაციის პირობებში, ლიანდაგის დაზიანების რისკების ხარისხს.

თანამედროვე პირობებში, ღერძზე მოსული დატვირთვებისა და მოძრაობის სიჩქარეების ზრდის შედეგად, ინტენსიურად იზრდება მოძრავი შემადგენლობიდან ლიანდაგზე გადაცემული დინამიკური დატვირთვები. ამიტომ მიწის ვაკისის ყრილის ტანის საანგარიშო კვეთში ძაბვების გავრცელების საზღვრების დადგენა განსაკუთრებით აქტუალურია

2.2.1. მიწის ვაკისის ტანში ძაბვების გავრცელების მუშა ზონების საზღვრების დადგენა

ცნობილია, რომ დინამიკური $\sigma_{დინ}$ ძაბვების მნიშვნელობები მაქსიმალურია მიწის ვაკისის ძირითად მოედანზე. ყრილის ტანის სიღრმეში მათი გავლენა თანდათანობით მცირდება და $Z=1.0$ მ. სიღრმეში დინამიკური $\sigma_{დინ}$ და მუდმივმოქმედი სტატიკური $\sigma_{სტ.}$ ძაბვების მნიშვნელობები დაახლოებით თანაბრდება. სიღრმეში $Z=3.0$ მ. დინამიკური $\sigma_{დინ}$ ძაბვების მნიშვნელობების მაქსიმალური სიდიდის მხოლოდ 7%-ს შეადგენს, ხოლო $Z=4.0$ მ. – 2 %-ს.

$\sigma_{დინ}$ და $\sigma_{სტ.}$ მნიშვნელობების ცვალებადობის სიღრმესთან დამოკიდებულებით ნაჩვენებია სურათი 7.




სურ. 7. ძაბვების ცვალებადობის გრაფიკი ყრილის სიღრმესთან დამოკიდებულებით

შედარებისათვის განსაზღვრული იქნა ყრილის ტანში საანგარიშო ძაბვების მნიშვნელობები, სწორკუთხა სტატიკური დატვირთვის ზემოქმედებაზე, დრეკადობის თეორიის ხაზობრივი ფორმულების საშუალებით, ერთგვაროვანი ნახევარსივრცისათვის.

განგარიშების შედეგები ცხადყოფს, რომ მიწის ვაკისის ძირითად მოედანზე გადაცემული თანაბარი $\sigma_{0 \text{ საანგ.}} = 80$ კპა დატვირთვისას, არსებული მეთოდიკით განგარიშებული $\sigma_{სტ.}$ ძაბვების

მნიშვნელობები(სურ. 8) დიდად აღემატება რეალურ სიდიდეებს, ამიტომ იგი ზუსტად ვერ ასახავს ყრილის მუშაობის პირობებს,



სურ. 8. ყრილის ფერდოში დინამიკური ძაბვების გავლენის საზღვრები.


დაწოლა შპალის ფუძიდან ბალასტის პრიზმაზე და მიწის ვაკისის ძირითად მოედანზე გადაეცემა ჰიპერბოლურ $X_{\sigma=0}$ ზედაპირზე, განივი მიმართულებით. ჰიპერბოლური განტოლება $X_{\sigma=0}$, რომლის დროსაც ფუნქცია $B_i(X_j) = 0$ და განისაზღვრება (1) ფორმულის საშუალებით

$$X_{\sigma=0} = L/2 \sqrt{1 + h_i^2} \quad 1/m^2 \quad (1)$$

შპალის ბოლოებს გარეთ, ბალასტის პრიზმა, მიწის ვაკისის გვერდული და მიწის ვაკისის ფერდოს ნაწილი y_i მანძილზე არ განიცდის მატარებლებიდან გადაცემულ დინამიკურ ძალური დატვირთვის ზემოქმედებას (სურ 9).

ორლიანდაგიან რკინიგზებზე, შემხვედრი მატარებლების ერთდროული ზემოქმედების შემთხვევაში, საანგარიშო კვეთში ძაბვების განაწილების ხასიათი წარმოდგენილია სურათი 10, რომელზედაც ნათლად ჩანს, რომ მეორე ლიანდაგზე მოძრავი მატარებელი ვერ ახდენს ძალურ ზემოქმედებას პირველი ლიანდაგის ბალასტის პრიზმაზე და მიწის ვაკისის ზედა ნაწილზე, ხოლო ყრილის ქვედა ნაწილში $Z_i \geq 1,7$ მ. დამატებითი დინამიკური ძაბვების მნიშვნელობები უმნიშვნელოა და იცვლება 1-2 კპა ფარგლებში.

აქედან გამომდინარე შემხვედრი მატარებლების ზეგავლენის გათვალისწინების აუცილებლობა შეიძლება გამოირიცხოს.



სურ. 9. დინამიკური ძაბვები ორლიანდაგიან ყრილებში შემხვედრი მატარებლის ერთდროული ზემოქმედების შემთხვევაში

2.3. მთიან პირობებში რკინიგზების დაპროექტებისა და მშენებლობის პრობლემები მათი გადაწყვეტის გზები

2.3.1. ზოგადი დებულებები

სამთო პირობებში რკინიგზების დაპროექტება და შემდგომში მისი მშენებლობის განხორციელება სპეციალური, მეტად რთული პრობლემების, უმაღლეს პროფესიონალურ დონეზე გადაწყვეტასთან არის დაკავშირებული. საქართველოს სპეციფიკური ტოპოგრაფიული, საინჟინრო-გეოლოგიური, კლიმატური, ჰიდროლოგიური და გეოპოლიტიკური სიტუაციებიდან გამომდინარე, საქართველოს რკინიგზების უბნების უდიდესი უმრავლესობა მთიან ან მთისწინა რეგიონებშია განლაგებული და მათ ურთულეს პირობებში უხდებათ მუშაობა.

ყველა ზემოდ ჩამოთვლილი პირობები სამთო რკინიგზების დაპროექტებისას და მშენებლობისას განაპირობებს ტრასის რთული გეგმისა და პროფილის გამოყენებას, ხელოვნური და საინჟინრო

ნაგებობების სიმრავლეს, სირთულეს და მრავალფეროვნებას, გამყოფი პუნქტების განლაგებას შეზღუდულ პირობებში, მატარებლების მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის გართულებას, ლიანდაგის ელემენტებში ნარჩენი დეფორმაციების დაგროვების მაღალი ინტენსივობის გამო, სალიანდაგო სამუშაოების მოცულობებისა, მატერიალური და შრომითი რესურსების მკვეთრ ზრდას. აღნიშნული პრობლემები ზედმიწევნით ზრდის სამთო პირობებში რკინიგზების დაპროექტებისა და მშენებლობის დანახარჯებს, ამიტომ მიღებული გადაწყვეტილებების მაქსიმალურად ოპტიმალური გადაწყვეტის შერჩევა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.

ამ მხრივ სანიმუშო მაგალითია თურქეთ-საქართველოს რკინიგზის დაპროექტებისა და მშენებლობის კომპლექსური პრობლემები. აღნიშნული პროექტი მოიცავს რკინიგზების დაპროექტებისა და მშენებლობის სრულ კომპლექსს, როგორებიცაა: რკინიგზის არსებული ხაზის რეაბილიტაცია, რეკონსტრუქცია; ახალი რკინიგზის უბნის დაპროექტება და მშენებლობა; მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის სპეციალური ღონისძიებების განხორციელება; ხელოვნური და საინჟინრო ნაგებობების რეკონსტრუქცია და ახლის დაპროექტება; გრძელი ორლიანდაგიანი გვირაბის დაპროექტება და მშენებლობა; რთულ პირობებში თოვლთან ბრძოლის ღონისძიებების განხორციელება; სხვა და სხვა 1520 მმ. და 1435 მმ. სიგანის ლიანდის შეპირაპირება, ახალქალაქის, თანამედროვე სტანდარტების მოთხოვნათა შესაბამისი, კომპლექსური სადგურის დაპროექტება და მშენებლობა; ურიკების შეცვლის პუნქტით და სამგზავრო მოძრავი შემადგენლობის წყვილთვალის სიგანის ავტომატური ცვლის, ტალგოს სისტემის მოწყობით; რკინიგზების ელექტრომომარაგების მუდმივი და ცვლადი დენის სისტემის შეპირაპირება; სცბ და ავტომატიზაციის სხვა და სხვა სისტემების შეპირაპირება და სხვა.

მშენებლობის რენტაბელობისა და საწყისი კაპიტალდაბანდებების შემცირების თვალსაზრისით, სამთო რკინიგზების კომპლექსური პროექტირებისას აუცილებელი ხდება საპროექტო უზნის საწყისი და საბოლოო სიმძლავრეების დადგენა და უზნის ეტაპებად დაყოფა. მაგალითისათვის თურქეთ - საქართველოს რკინიგზის დაპროექტება და მშენებლობა გადაწყდა, რომ ორ ეტაპად განხორციელებულიყო: პირველ ეტაპზე საპროექტო რკინიგზის სიმძლავრე გათვლილი იქნა 5 მლნ. ბრ.ტ წელიწადში ტვირთბრუნვაზე, ხოლო რკინიგზის ამ სიმძლავრით ამუშავების შემდეგ, მოგებიდან მიღებული თანხებით, უახლოეს პერსპექტივაში მისი ტვირთბრუნვამ უნდა მიაღწიოს 15 მლნ. ბრ.ტ. წელიწადში. ტექნიკური განხორციელების თვალსაზრისით თურქეთ - საქართველოს რკინიგზის, საქართველოს მონაკვეთი მოიცავს:

მარაბდა - ახალქალაქის 1520 მმ. ლიანდის სიგანის არსებულ, ერთ ლიანდაგიან რკინიგზის უზნის რეკონსტრუქცია, რეზილიტაცია და ახალქალაქი-კარწახი-თურქეთის რესპუბლიკის საზღვრის მიმართულეა 1435 მმ. ლიანდის სიგანის ახალი, ორლიანდაგიან უზნის მშენებლობის სამუშაოებს.

2.3.2. თურქეთიდან მიღებული პროექტის კორექტირების საკითხები

საქართველოს, თურქეთის რესპუბლიკისა და აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტების ერთობლივი განცხადების 2005 წლის 25 მაისს ქ. ბაქოში ხელმოწერილ დეკლარაციის საფუძველზე, ბაქო-თბილისი-ყარსის ახალი შემაერთებელი სარკინიგზო ხაზის რეზილიტაცია, რეკონსტრუქცია, მშენებლობის პროექტის განხორციელებაზე თურქეთის მხარე იღებდა ვალდებულებას დაეპროექტებინა და საქართველოს მხარისათვის გადმოეცა ახალქალაქი სატვირთო სადგურის და ახალქალაქი - კარწახი, თურქეთის

რესპუბლიკის საზღვრის მიმართულებით ახალი რკინიგზის ხაზის მშენებლობის პროექტი.

2007 წლის 10 სექტემბერს თურქული ფირმის «YD Yuksel Domanic Engineering Limited» წარმოდგენილმა პროექტი არ ითვალისწინებდა ადგილობრივ პირობებს, ამიტომ მისი ზედმიწევნით გაანალიზების შედეგად წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომის ავტორის აქტიური მონაწილეობით, გამოითქვა შემდეგი შენიშვნები:

1. სადგურ კარწახის დასაწყისიდან გვირაბის პორტალამდე არ არის გამოყოფილი მანძილი საკონტაქტო ქსელი საჰაერო ჩანართის და სადგურის შესასვლელი შუქნიშნის მოსაწყობად;
2. გვირაბში წარმოქმნილი აეროდინამიკური ძალებისა და მრუდის წინაღობის ზეგავლენით სახელმძღვანელო ქანობის (18‰) სიდიდე გაიზრდება და ფაქტობრივად მიაღწევს 21 -22‰, ამიტომ გვირაბში 18‰ სიდიდის სახელმძღვანელო ქანობის შენარჩუნების მიზნით საპროექტო ქანობი არ უნდა ღემატებოდეს 15 ‰-ს;
3. გვირაბში გათვალისწინებული უნდა იქნას, ახალქალაქის მხარეს პორტალის მიმართულებით 300 მ. სიგრძეზე 3‰ უკუქანობის მოწყობა ატმოსფერული ნალექების შედეგად წარმოქმნილი წყლის ნაკადის გვირაბიდან ასაცილებლად;
4. მრუდე უბნეზე წარმოიქმნილი წინაღობა, ზრდის სახელმძღვანელო ქანობის სიდიდეს;
5. პროექტში არ არის წევის ანგარიშები - დამაბულ ქანობიანი (18‰) უბნებზე მუხრუჭების გადახურებაზე გაანგარიშების შესაბამისად გარკვეულ მანძილებზე საჭიროა ქანობის შემცირება;
6. საპროექტო ტრასისა და გრძივი პროფილი მთელ რიგ უბნებზე არ აკმაყოფილებს ტექნიკური ნორმების და წესების, აგრეთვე თოვლთან ბრძოლის პირობებს;
7. მახასიათებელ ადგილებში (სადგური კარწახი) არ არის წარმოდგენილი მიწის ვაკისის განივი კვეთები;

8. გვირაბის პორტალის საქართველოს მხარეს განლაგებულია მეწყერულ ზონაში. პროექტში არ არის დაზუსტებული მეწყერის კონტური.

უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ თოვლისგან დაცვის ნაგებობებიდან საქართველოს რკინიგზებზე გასულ საუკუნეებიდან დაპროექტებულია, მხოლოდ თოვლდამცავი ღობე ფარები და ტყის ნარგავები.


მაგარამ სამთო რკინიგზებზე არის ადგილები სადაც ვერ ხარობს ყველა ჯიშის ხე და ძლიერი ქარების გამო და ყველგან თოვლდამცავი ღობე ფარები ვერ უზრუნველყოფს თოვლისგან დაცვას. აქედა გამომდინარე აღნიშნული საკითხის გადაწყვეტა მოითხოვს თოვლდამცავი ღონისძიებების დაპროექტებისადმი დიფერენციალურ მიდგომებს. ბუნებრივ - კლიმატური და გეოლოგიური პირობების უფრო დაწვრილებით შესწავლას, სხვა და სხვა სახის თოვლდამცავი კომპლექსური ნაგებობების და ნარგავების მოსაწყობად - თოვლის ნამქერის რკინიგზის პირას შესაჩერებლად.

ამ საკითხის გადასაწყვეტად კომპლექსურ მიდგომაში მდგომარეობს იმაში, რომ პროექტის მიერ გატარებული ღონისძიებები უზრუნველყოფდეს თოვლის ნამქერის შეჩერებას არა მარტო ლიანდაგის პირას, თოვლდამცავი ნაგებობების და ნარგავების მოწყობით არამედ უშუალოდ რკინიგზის ხაზზეც (ჭრილების გაფართოება, ხაზის მეტი წილის ყრილზე დაპროექტება, გალერეების მოწყობა და ა.შ).

აღნიშნულიდან გამომდინარე:

- ახლადმშენებარე ახალქალაქი - კარწახის სარკინიგზო მონაკვეთზე პირველადი პროექტით განსაზღვრული 2.6 კმ ჭრილის რეკონსტრუქციისათვის მიღებული იქნა გადაწყვეტილება ტრასის გეგმის შეცვლის თაობაზე. მარაბდა - ახალქალაქის არსებული ხაზის თოვლისგან დანამქერის ანალიზიდან გამომდინარე ახალქალაქი

კარწახი ახლად მშენებარე მონაკვეთის ტრასის 80 % განთავსდა ყრილზე. ამასთან ერთად კმ 86+200 – 85+00 ჭრილებში მთის



სურ. 10. მიწის ვაკისის განივი პროფილის სქემა, აქტიურად დანამუქვრად ადგილებში.

ფერდობის მხარეს მოეწყო 3 მეტრის სიგანის თარო, ხოლო მეორე მხარე მთლიანად განთავისუფლდა ფერდისაგან. ჭრილების გაფართოება და გრუნტის მოჭრა სამუშაოების გამძირების თავიდან აცილების მიზნით განხორცილდა იმ ადგილებში სადაც გეოლოგიური ანგარიშის საფუძველზე განლაგებული იყო ადვილად დასამუშავებელი გრუნტები შემდეგში მათი ყრილის ტანის აგებისათვის. მთელ მონაკვეთზე ადგილობრივი პირობებიდან გამომდინარე დაიგეგმა 86 000 ძირი ტყე ნარგავების, 28 000 ძირი ბუჩქნარის დარგვა და 4758 გრძ. მ. ღობე ფარების მოწყობა.

გლობალურ მეწყერში დაპროექტებული გვირაბის პორტალი საქართველოს მხრიდან გადატანილი იქნა არამეწყერულ ზონაში.

რკინიგზის ხაზის მაღალ ნიშნულზე განლაგების გამო შეირჩა ხის და ბუჩქების სპეციალური ჯიშები, რომლების შეხამებულნი არის ამ პირობებს. ბუჩქები ხელს შეუწყობს საწყის ეტაპზე ახალი ნერგების დაცვას აგრესიული კლიმატური პირობებისაგან რამე თუ ბუჩქის გახარება და ფესვთა სისტემის გამლიერება ხის ანალოგიურ პროსექტებზე გაცილებით ადრე ხდება.

მარაბდა ახლქალაქი რკინიგზის არსებულ ხაზზე ნადარბაზევი ნინოწმინის მონაკვეთის რთულ სამთო გეოლოგიურ პირობებში განლაგების გამო ჭრილების გაფართოების განხორციელება ჩაითავლა არ მიზანშეწონილად და შესაბამისად დაპროექტდა: 26481 გრძ. მ. რკ/ბეტონის თოვლდამცავი ღობე-ფარები; ხოლო პკ 990 – 1001; პკ 1106 – 1109; პკ 1114 – 1118; პკ 1151 – 1156; - 4 ერთეული თოვლდამცავი გალერეა საერთო სიგრძით 2436,93 გრძ. მ. ახალი ასაქცევი პუნქტის ჭიკჭავის მშენებლობისათვის აუცილებელი გახდა არსებული ტყის გაჩეხვა, რომლის კომპენსაციისათვის დაიგეგმა 1 953 701 აშშ. დოლარის ტყე ნარგავების მოწყობა და 598 681 აშშ დოლარის ხმაჩამხშობი ზოლის ტყენარგავების გაშენება. აღნიშნული ტყე ნარგავები განაშენიანების შემდეგ ასევე შეასრულებს თოვლისაგან ლიანდაგის დაცვის ფუნქციას.

2.4. მთიან პირობებში საპროექტო რკინიგზების საანგარიშო

სიმძლავრის განსაზღვრის თავისებურებანი.

პროექტის ტექნიკურ ეკონომიური ასპექტები

საპროექტო რკინიგზების საანგარიშო სიმძლავრის განსაზღვრისას გადაწყვეტილების მიმღებ პირს აუცილებლად აქვს საქმე ისეთ მცნებასთან, როგორცაა რისკი და გაურკვეველობა.

საპროექტო რკინიგზის საანგარიშო სიმძლავრეში იგულისხმება ცალკეული მოწყობილობების და ნაგებობების იმ დონებზე მოწყობა, რომელიც შემდეგ გადაეცემა მუდმივ ექსპლუატაციაში.

რისკი და გაურკვეველობა (ბუნდოვნება) რკინიგზის საანგარიშო სიმძლავრის დაპროექტებაში შედარებით ახალი მცნებაა. უნდა განვასხვავოთ რისკისა და გაურკვეველობის (ბუნდოვნების) მცნებები.

რისკი საპროექტო რკინიგზის საანგარიშო სიმძლავრის განსაზღვრისას არის არასასურველი სიტუაციის და შედეგების წარმოქმნის შესაძლებლობა.

ხოლო გაურკვევლობა(ბუნდოვნება) კი არის არასრულია ან არაზუსტი მონაცემების ქონა რისკის ფაქტორების განსაზღვრისათვის. მათ შორის ინფორმაცია შედეგებსა და ხარჯებზეც ანუ სიტუაციის გაურკვევლობა მდგომარეობს იმაში, რომ არ არის ცნობილი როგორ მდგომარეობაში იქნება ობიექტი მართვის გადაწყვეტილებების რალიზაციის მომენტში.

საანგარიშო სიმძლავრეს საზღვრავენ საწყისი მონაცემების დაზუსტებასთან ერთად. პროექტირების ადრეულ ეტაპებზე ამ პროცესს ახასიათებს გაურკვევლობის(ბუნდოვნების) და რისკის მომატებული ხარისხი.

გაურკვევლობის (ბუნდოვნების) პირობებში გადაწყვეტილების მიღებას შეიძლება დავათქვათ „ბუნებასთან თამაში“. ბუნებაში იგულისხმება გაურკვევლობა არა მარტო ბუნებრივ კლიმატური პირობებისა არამედ გაურკვევლობა ტექნიკის, ადამიანთა ჯამრთელობის, განწყობის და მათი კვალიფიკაციის დონის შესახებ ანუ ფაქტორები რომლებიც არ არის დამოკიდებული საპროექტო გადაწყვეტილების მიმღებ პირზე.

აღნიშნულის ნათელ მაგალითს მარაბდა - ახალქალაქის არსებული ერთლიანდაგიანი რკინიგზის უბნის რეკონსტრუქცია-რეაბილიტაციის საკითხი წარმოადგენს. მარაბდა - ახალქალაქის ერთლიანდაგიანი რკინიგზა აშენდა გასული საუკუნის ოთხმოციან წლებში და ერთ ერთ ურთულეს სარკინიგზო უბანს წარმოადგენს. საკმარისია აღინიშნოს, რომ მისი სახელმძღვანელო ქანობი 35 %-ია. რკინიგზის მშენებლობა განხორციელდა მთელი რიგი დარღვევებით, განსაკუთრებით მოძრაობის უსაფრთხოების და თოვლთან ბრძოლის კუთხით, რის შედეგად, ზამთრის პერიოდში ადგილი ჰქონდა მოძრაობის წყვეტას საკმაოდ ხანგრძლივი დროით. ზემოდ აღნიშნულმა განაპირობა მარაბდა - ახალქალაქის არსებული ერთლიანდაგიანი რკინიგზის უბნის რეკონსტრუქცია-რეაბილიტაციის აუცილებლობა, მისი პარამეტრების

საერთაშორისო ნორმების ფარგლებში მოყვანის, მატარებლების მოძრაობის უსაფრთხოების მაქსიმალურად უზრუნველყოფისა და გამტარუნარიანობის დირექტიული ნორმის დაკმაყოფილების თვალსაზრისით.

მარაბდა - ახალქალაქის სარეაბილიტაციო, სარეკონსტრუქციო სარკინიგზო მონაკვეთის მთლიანი სიგრძე შეადგენს შეადგენს 153 კმ-ს. ახალქალაქი კარწახი თურქეთის რესპუბლიკის საზღვრის მიმართულების სიგრძე შეადგენს 25.03კმ-ს. სადგური ახალქალაქის სიგრძე შეადგენს 4.11 კმ-ს(სურ.11).

მთლიანად მარაბდა - ახალქალაქი - კარწახი თურქეთის რესპუბლიკის საზღვრის მიმართულებით რკინიგზის ხაზის რეაბილიტაცია, რეკონსტრუქცია, მშენებლობის სამუშაოების სპეციფიკიდან გამომდინარე დაიყო შემდეგნაირად:

მარაბდა - ახალქალაქის მონაკვეთის რეაბილიტაცია, რეკონსტრუქცია, მშენებლობის პროექტი გახორციელდა მთლიანი ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია, რეკონსტრუქციის სამუშაოების 3 ეტაპებად დაყოფის შესაბამისად.

ახალქალაქი - კარწახი - თურქეთის რესპუბლიკის საზღვრის მიმართულებით რკინიგზის ხაზის მშენებლობის პროექტი განხორციელდა მთლიანი სამშენებლო დერეფანის მშენებლობით დარგების ეტაპებად დაყოფით.

მარაბდა - ახალქალაქი - კარწახი - თურქეთის რესპუბლიკის საზღვრის მიმართულებით რკინიგზის ხაზის რეაბილიტაცია, რეკონსტრუქცია, მშენებლობის სამუშაოების ეტაპები

ცხრილი № 3

მარაბდა - ახალქალაქი			ახალქალაქი - კარწახი -თურქეთის რესპუბლიკის საზღვრის მიმართულება		
ეტაპი	დასახელება	სიგრძე კმ	ეტაპი	დასახელება	სიგრძე კმ
I	მარაბდა-თეთრი-წყაროს მონაკვეთი	29.2	I	სალიანდაგო მეურნეობა. შენობები	25.03

II	თეთრიწყარო - წალკის მონაკვეთი	49.7	II	გვირაბი	4.1
III	წალკა - ახალქალაქის მონაკვეთი	74.1	III	ენერგეტიკა, ტელემექანიზაციის, კავშირგაბმულობა	25.03



სურ. 11. მარაბდა - ახალქალაქი - კარწახის სარკინიგზო მონაკვეთის ეტაპებად დაყოფის გეგმა
მარაბდა - ახალქალაქი - კარწახი - თურქეთის რესპუბლიკის საზღვრის მიმართულეებით რკინიგზის ხაზის რებილიტაცია, რეკონსტრუქცია, მშენებლობის სამუშაების რკინიგზის ინფრასტრუქტურის კაპიტალდაზანდების პროცენტული მაჩვენებლები ცხრილი № 4

№	სამუშაოს დასახელება	ღირებულება %		შენიშვნა
		მშენებარე მონაკვეთი	სარეაბილიტაციო მონაკვეთი	
1	2	3	4	5
მარაბდა - ახალქალაქი - კარწახი მონაკვეთი				
1	მიწის ვაკისი	36.97	10.95	
2	ხელოვნური ნაგებობები	25.51	2.52	
3	ლიანდაგის ზედანაშენი	22.18	29.1	
4	შენობები	5.45	2.99	
5	ენერგეტიკა ელექტროფიკაცია	6.03	36.5	
6	სიგნალიზაცია ტელკომუნიკაცია	3.84	13.77	

აღნიშნული სარეზილიტაციო, სარეკონსტრუქციო და სამშენებლო სამუშაოების პროექტირებაც განხორცილდა აღნიშნული თანმიმდევრობით, თითოეულ ეტაპზე დამკვეთის მიერ შესაბამისი ტექნიკური პირობების გაცემი შესაბამისად.

ზემო მოტანილი ნათლად უჩვენებს თუ რამდენად რთულია სამთო უბნებზე რკინიგზების პროექტირებისა და მშენებლობის ღონისძიებების განხორციელება.

2.5. მთიან პირობებში სასაზღვრო სატვირთო სადგურის კომპლექსური პროექტირების თავისებურებანი

მთიან პირობებში სასაზღვრო სატვირთო სადგურის კომპლექსური პროექტირების თავისებურებების ნათელი მაგალითია ახალქალაქის სასაზღვრო სატვირთო სადგურის დაპროექტების პრინციპები.

სადგური ახალქალაქი სატვირთო წარმოადგენს 1435 მმ. და 1520 მმ ლიანდის სტანდარტების და რკინიგზის სხვა და სხვა ინფრასტრუქტურის შეპირაპირების სადგურს განლაგებულს მთიან პირობებში.

ახალქალაქის სადგურის კომპლექსური პროექტირება განხორცილებულია საპროექტო და სამეცნიერო კვლევითი, მეთოდურ სამუშაოების საფუძველზე.

მარაბდა - ახალქალაქი - კარწახის სარკინიგზო მონაკვეთის მუშაობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ახალქალაქის სადგურის გამართულ მუშაობაზე, სადაც ერთ კომპლექსში არის თავმოყრილი კომერციული, სატვირთო და სამგზავრო ოპერაციები.

ახალქალაქის სადგურის პროექტირების ძირითად ამოცანას შეადგენს შერჩეული იქნას, რაც შეიძლება ეკონომიური ვარიანტი, რომელმაც მშენებლობის ყველა სტადიაზე უნდა უზრუნველყოს

საანგარიშო ვადებში დაგეგმილი სამგზავრო და სატვირთო გადაზიდვები, ადგილობრივი და დასახარისხებელი სამუშაოები, მოძრაობის უსაფრთხოების, მგზავრებისა და მოსამსახურეების სამუშაოს კომფორტული პირობები, მშენებლობისა და ექსპლუატაციისათვის საჭირო აუცილებელი პირობები. ამასთან ერთად პროექტმა უნდა გაითავლისწინოს მშენებლობის დადგენილი ვადაში დასრულება და ობიექტების ექსპლუატაციაში გადაცემა, სადგურის განვითარების პერსპექტივის გავთავლისწინებით, ტექნიკური აღჭურვილობის გადაიარაღების გამარტივების პირობებში.

ჩვეულებრივი სადგურებიდან განსხვავებით სასაზღვრო შეპირაპირების სადგურების კომპლექსური პროექტი ერთდროულად უნდა ითვალისწინებდეს 1520 მმ. და 1435 მმ. სტანდარტის რკინიგზების: „სამშენებლო წესებისა და ნორმების“ (СНиП - УИС)შეასბამის თავების მოთხოვნებს, სადგურებისა და კვანძების დაპროექტების ინსტრუქციებს, საქართველოს სარკინიგზო ტრანსპორტზე და ევროპის რკინიგზებზე ტექნიკური ექსპლუატაციის წესებს, რკინიგზების წესდებებს, შენობა ნაგებობების მიახლოების გაბარიტებს, სხვა სახელმწიფო და ადგილობრივი კვლევა ძიების, საპროექტო, სამშენებლო ნორმატიულ მოთხოვნებს. იმის გამო, რომ საქართველოში ამჟამად შემუშავებული არ არის რკინიგზების პროექტირებისა და მშენებლობის ნორმები და წესები და დამპროექტებელი და მშენებელი იძულებული არის გამოიყენოს სხვა ქვეყნების მრავალრიცხოვანი ნორმატიული და სამართლებრივი მასალა მნიშვნელოვნად რთულდება პროექტისადმის „ვადა-ბიუჯეტი-ხარისხის,, მოთხოვნების უზრუნველყოფა, შესაბამისად იზრდება დაპროექტებასთან დაკავშირებული რისკების ხარისხი.

სასაზღვრო შეპირაპირების სადგურები კომპლექსური პროექტირება უნდა დაეყრდნოს ეკონომიურ და ტექნიკურ კვლევებს, ტოპოგრაფიული, გეოგრაფიული, კლიმატური და სხვა პირობების

დეტალურ შესწავლას. უნდა განისაზღვროს უბანზე განლაგებული სხვა სადგურების მუშაობის სპეციფიკა და მათი განვითარების პერსპექტივები. ტექნიკურ ეკონომიური და საველე კვლევები უნდა განხორციელდეს სამუშაოების იმ მოცულობით, რომელიც მთლიანად უზრუნველყოფს ძირითადი საკითხების სწორ გადაწყვეტას, კარტოგრაფიული მასალების, აეროფოტოგადაღების, კვლევებისა და წინა პროექტირების მასალების საფუძველზე.

სასაზღვრო შეპირაპირების სადგურების კომპლექსური პროექტირებისას უნდა გამოვლინდეს მუშაობაში არსებული ყველა სირთულე და გაანალიზდეს მათი წარმოშობის მიზეზები, გაითვალისწინოს ამ სირთულეების გამოსწორების პირობები.

სასაზღვრო შეპირაპირების სადგურები კომპლექსური პროექტირება უნდა განხორციელდეს დამახარისხებელი, სამგზავრო და სხვა მსხვილი სადგურების გენერალური სქემებისა და მათი მუშაობის ტექნიკურ - ეკონომიური დასაფუთების (შემდეგში ტედ) საფუძველზე.

სასაზღვრო შეპირაპირების სადგურები სახარჯთაღრიცხვო საპროექტო დოკუმენტაციის დამუშავებისას ტედ-ით დამტკიცებული ნაგებობების და მოწყობილობების ტექნიკურ ეკონომიური მაჩვენებლები არ უნდა იქნას გაუარესებული მათი დეტალური პროექტირებისას. მშენებლობის სახარჯთაღრიცხვო ღირებულება არ უნდა აჭარბებდეს ტედ-ით განსაზღვრულ მშენებლობის ღირებულებას.

პროექტირების - (ტექნიკური პროექტი და ნახაზები) ეტაპების(სტადია) გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნას ტედ-ით განსაზღვრული ინსტანციის მიერ.

სხვა სადგურებისგან განსხვავებით სასაზღვრო შეპირაპირების სადგურების კომპლექსური პროექტი ერთდროულად უნდა უზრუნველყოფდეს საქართველოს და ევროპის რკინიგზების სტანდარტების:

- ვაგონებისა და მატარებლების დაჩქარებულ დამუშავებას;

- დაპროექტებული ლიანდაგების შენობების და ნაგებობების სრულფასოვნად გამოყენებას;
 - სხვა და სხვა ქვეყნების რკინიგზების შენობა ნაგებობების მიახლოების და მოძრავი შემადგენლობის გაბარიტების მოთხოვნებს;
 - მოძრაობის სიზუსტეს, მარშრუტების მინიმალურად გადაკვეთით, განსაკუთრებით ორგანიზებულ მატარებლებზე და მოძრავი შემადგენლობის შესაძლო მინიმალურ გარბენებს;
 - სანიტარული ნორმების დაცვას;
 - სადგური შენობა ნაგებობების და მოწყობილობების მკაცრ კლიმატურ და რთულ ტექნიკურ პირობებში ექსპლუატაციის პირობების მოთხოვნების დაკმაყოფილებას;
 - საისრე გადამყვანების და ლიანდაგების თოვლისაგან მექანიზირებულ გაწმენდას;
 - სადგურის მშენებლობისას და ექსპლუატაციის პერიოდში სამატარებლო და სამანევრო მუშაობისას მოძრაობის უსაფრთხოებას შრომისა და გარემოს დაცვის პირობებს;
- სხვა სადგურებისგან განსხვავებით ახალქალაქი სატვირთო სადგურის კომპლექსურმა პროექტმა უნდა გაითავლისწინოს:
